

სოციალური თემატიკა ქართულ და არაბულ რომანტიზმში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქართველი და არაბი რომანტიკოსების მიდგომა სოციალური საკითხებისადმი. ხაზგასმულია, რომ სოციალური თემატიკა ქართველი რომანტიკოსებისთვის არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ისინი თავიანთი წოდებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე (ძირითადად არისტოკრატიული ან მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ), თავიანთი ცხოვრების სტილით შორს იდგნენ რიგითი ადამიანების ცხოვრებისგან, მათი ყოფითი მდგომარეობა მათთვის უცხო თუ არა ძალზე შორეული იყო. არაბულ რომანტიზმში კი სოციალური მოტივები წინ წამოწევა, რომელიც იწყება არაბი განმანათლებლებიდან, ნაკარნახევი იყო არაბულ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით. არაბი რომანტიკოსები არა მარტო აყენებდნენ სოციალურ პრობლემებს, არამედ გვთავაზობდნენ სოციალურ უსამართლობათა მოგვარების საკუთარ გზებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაბი რომანტიკოსები, განსხვავებით ქართველი რომანტიკოსებისა, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო ფენისა.

საკვანძო სიტყვები: *რომანტიზმი, სოციალური საკითხები, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, აბუ ლ-კასიმ აშ-შაბი.*

ქართულ და არაბულ რომანტიზმში რომანტიზმისთვის ზოგადად დამახასიათებელი რიგი ნიშნებისა ერთმანეთს ემთხვევა, ნაწილი განსხვავებულად არის წარმოდგენილი, ნაწილი კი ამ ქვეყნებში შექმნილი სპეციფიკური ვითარებების გამო ესა თუ ის ნიშანი წინ არის წამოწეული, ან კიდევ შედარებით უკანა პლანზეა გადაწეული, ან უგულვებელყოფილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართველი და არაბი რომანტიკოსების მიდგომა სოციალური საკითხებისადმი და ქალთა პრობლემისადმი. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მათ დამოკიდებულებას სოციალური საკითხებისადმი.

სოციალური თემატიკა ქართველი რომანტიკოსებისთვის არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ისინი თავიანთი წოდებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე (ძირითადად არისტოკრატიული ან მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ), თავიანთი ცხოვრების სტილით შორს იდგნენ რიგითი ადამიანების ცხოვრებისგან, მათი ყოფითი მდგომარეობა მათთვის უცხო თუ არა ძალზე შორეული იყო. ამიტომ ჩვენი რომანტიკოსების ლექსებში აღწერილი დაბალი ფენის ცხოვრების ამსახველი სურათები აშკარად ტოვებენ შორიდან, გარედან დანახულის, ზოგჯერ ვალის მოხდის შთაბეჭდილებას. ამასთანავე ასეთი ლექსები ძირითადად იწერება ახალი თაობის, თერგდალეულების ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, ალბათ მათი გავლენით. არსებული უთანასწორობის, ჩაგვრის, მანკიერი მხარეების კრიტიკა აშკარად ზოგად სახეს ატარებს. თუმცა ამ თემაზე შექმნილი მათი ლექსები პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

დავიწყეთ ქართველი რომანტიკოსებით და, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ჭავჭავაძით. კიტა აბაშიძე არ თვლიდა მას ქვეყნის სოციალური და ეროვნული ჭირ-ვარამის გამომხატველად. ჩვენი აზრით, მსგავსად უმრავლესი მკვლევრისა, ალ. ჭავჭავაძე პირველი დიდი წარმომადგენელია ქართული პატრიოტული რომანტიზმისა. მაგრამ კიტა აბაშიძე მართალია, როცა მას არ მიიჩნევს

სოციალური ჭირ-ვარამის გამომხატველად¹. უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალური პრობლემები არ იყო მთავარი თემა არა მარტო მისთვის, არამედ ქართველი რომანტიკოსებისთვის. და ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. ამასთანავე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თავისი საქმიანობისა და მოვალეობების აღმსრულებელ პოეტს დრო და სურვილი ჰქონოდა ახლოს გასცნობოდა ქართველი მშრომელი ხალხის მდგომარეობასა და ყოფით პირობებს. მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ალ. ჭავჭავაძისთვის მთლად უცხო არ აღმოჩნდა შეხებოდა ზოგადად ამ ქვეყნად გამეფებულ სოციალურ უსამართლობებს. ლექსში „ვაჰ, სოფელსა, ამას“ ის გმობს ადამიანთა საზოგადოებაში გაბატონებულ უსამართლობას და ჩაგვრას, აკრიტიკებს ადამიანებს, რომლებიც მდიდრდებიან სხვათა ჩაგვრით და ძარცვით. ასევე სოციალური უთანასწორობის და საზოგადოებაში არსებული მანკიერი მხარეების წინააღმდეგ არის მიმართული პროზაული ნაწარმოები „ახლოით განჩხრეკილი კაცი“. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მოთხრობა წარმოადგენს ფრანგი მწერლის ნაწარმოების მის მიერ შესრულებულ თარგმანს. რადგანაც ეს ლექსი და ნათარგმნი მოთხრობა გამოკვეთილად ზოგადი ხასიათისაა, ამიტომ ისინი არ ჩაითვლება პოეტის მსოფლმხედველობის გამომხატველად.

ალ. ჭავჭავაძეს დიდად არ აღემატება სოციალური პრობლემებისადმი მიდგომით მეორე ჩვენი დიდი რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. თუმცა მას ეკუთვნის შესანიშნავი ლექსი „მუშა ბოქულადე“, რომელიც XIX ს-ის 70-იან წლებშია დაწერილი. ამ პერიოდში კი ასპარეზზე არიან გამოსული რუსეთში განათლება მიღებული ახალი თაობის მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთა ყურადღება მახვილდება მშრომელ ხალხზე, კრიტიკის ობიექტია ქვეყანაში გამეფებული უთანასწორობა, ადამიანთა ჩაგვრა და სხვა სოციალური მანკიერებები. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანის და სხვა რომანტიკოსი პოეტების მსგავსი ხასიათის ლექსები დაწერილია ამ ახალი თაობის გავლენით. ბოქულადის მსგავსი ადამიანებისთვის, რომლებიც ბედით დაჩაგრულნი, სიღარიბისთვის განწირულნი არიან და რომელთა უპირველესი საზრუნავი არის ლუკმაპურის შოვნა, საზოგადოება მათში ადამიანს ვერ ხედავს, გამორიცხავს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღიარებას. გრ. ორბელიანი, რა თქმა უნდა, აქედან გამოსავალს ვერ ხედავს, ამიტომ მისი ბოქულადისთვის იმედი მხოლოდ იმქვეყნიურ, ანუ საიქიო ცხოვრებაზეა დამყარებული.

გრ. ორბელიანის სოციალური შეხედულებების შესახებ ი. ევგენიძე, არსებითად, საპირისპირო აზრისაა, როცა შენიშნავს: „გრიგოლ ორბელიანის ინტერესები ცოცხალი, რეალური სინამდვილის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობის დამყარებისკენაა მიმართული, ყოველი დროისთვის აუცილებელი ჰუმანური, ზოგადი სოციალური იდეალების გამეფების საჭიროებას ქადაგებს პოეტი...“ და მოჰყავს ნაწყვეტი მისი *ლექსიდან*: „*რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა საქმე კეთილი? / თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგემ-მცემელი? / თუ არ ვსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი? / სხვის კვნესა არ გვაწუხებს, სხვისი არ გვესმის ტკივილი?*“²

უნდა შევნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანი იყო მუდამ თავისი წოდების ადამიანების ინტერესების დამცველი, რაზეც მეტყველებს წიგნში „გრიგოლ ორბელიანი პოეზია, პროზა, წერილები“ იონა მეუნარგიას სტატია „ცხოვრება და ღვაწლი თავადი გრიგოლ ორბელიანისა“ და მასში მოყვანილი ნაწყვეტი წერილიდან, სადაც გრ. ორბელიანი გენერალ-ლეიტენანტ თ. ამილახვარს წერს: „...მერე გავიდა ათი თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი, რომ მღვდელნი ... უნდა იყვნენ თავისუფალნი თავადებისაგან. განთავისუფლდნენ მღვდელნი... მაგრამ მღვდლებთანა წაიღეს და დაჰსდეს საეკლესიოდ თავადებისა ის ყმები და მამულები, რომელთა შემოსავლიდამ თავადები ინახავდნენ მღვდელთა...გავიდა კიდევ ათი თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: „ყოველი გლეხი არის თავისუფალი და თავადებისგანა მიეცეს მათ მიწა ... და აბა ეხლა წარმოიდგინეთ, რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა? და რაც დარჩათ, სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა, ასე რომ, იშვიათსა აქვს ასი დესენტინა ერთ ალაგსა... აი, ჩემო ბატონო, საიდან დაიწყო ჩვენმა გაღარიბებამ, ჩვენმა აწინდელმა მდგომარეობამ, რომელშიაცა

¹ აბაშიძე კიტა, ეტიუდები, ტ.1, თბილისი, 1911, გვ. 6-7.

² ევგენიძე ი., გრიგოლ ორბელიანი, თბილისი, 1995, გვ. 216.

მწუხარების მეტი აღარა სუფევს რა! ...³ ასე ჩივის ჩვენი პოეტი თავადთა მდგომარეობის გაუარესების შესახებ, ასეთი დამცველია ის ამ წოდების ინტერესებისა და არა რიგითი მშრომელის (გლეხთა) მდგომარეობისა. ამ წერილში გრ. ორბელიანი მიუთითებს მეტად საინტერესო ფაქტზე: „...ახლა ამასთანა შეიცვალა ცხოვრებაცა და ჩვენ ახლისა ცხოვრებისათვის არა ვიყავით შემზადებულნი, ესე იგი არა გვქონდა ფული; ვიღებდით ვალსა 40 კაპიკად; კახეთში ოღონდა ფული ესესხათ, თავადიშვილი ასს თუმანში ფეშქაშად აძლევდა ერთს ურემ ღვინოს, სარგებლისა გარდა.“⁴ ასეთ ვითარებას (ქართველების მიერ ქართული მიწების გაყიდვის შესახებ ფულიან არაქართველებზე აგვიწერენ ილია ჭავჭავაძე და ვახტანგ ორბელიანი თავიანთ ლექსებში). თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ გრ. ორბელიანი 1863 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე მხარს დაუჭერს რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილებას ბატონყმობის გაუქმების შესახებ: „... მოვა დრო, როდესაც საქართველოს ძველი ჩვეულება, ძველი წესი - დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებითგან, უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღით საქართველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალსა ცხოვრებასა...“⁵

სოციალურ თემატიკასთანაა დაკავშირებული მიხეილ თუმანიშვილის ორი ლექსი „სალამური“ და „ჩანგური“. ავტორი, გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულადის“ მსგავსად, გვიხატავს ცხოვრების მიერ დაჩაგრული ადამიანის განცდებსა და ტანჯვას, სურვილი აქვს მოხდეს ცვლილებები ამ ქვეყანაზე, მაგრამ ვერ ხედავს ამ ცვლილებებისკენ მიმავალ გზებს და ზოგადად რომანტიკოსებისთვის დამახასიათებელ ოცნებათა სამყაროში იჭრება, ოცნებობს იმ ქვეყანაზე, რომელშიც ცხოვრება „*ჭმუნვის ღრუბლებით არასოდეს არ დაბნელდება.*“

რაც შეეხება მამია გურიელს, მისი შემოქმედების მკვლევარი ლამარა შავგულიძე მართებულად მიუთითებს, რომ საერთოდ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში სოციალური საკითხის წამოჭრა უშუალოდ არის დაკავშირებული ქართველ სამოციანელთა ზეგავლენასთან, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. პოეტი „ქობულეთური ყანის სიმღერაში“ გვაცნობს მშრომელი გლეხის მძიმე ყოფის ნამდვილ მიზეზებს და მას ამის შესახებ ათქმევინებს: „*ყველა ჩვენ გვეცარცვავს, ოხერსა, / ალა, მურიდი, ვალიო, / რაც რამ გაგვაჩნდა დაჰყიდეს / დაგვედო კვლავაც ვალიო!*“. ლექსში „მიცურავს მთვარე, რბიან ღრუბლები“ პოეტი ყურადღებას ამახვილებს ადამიანის აქტიური მოქმედების აუცილებლობაზე, გვევლინება სოციალური თანასწორობის მქადაგებლად და მომხრედ ისეთი საზოგადოებრივი წყობისა, რომელიც ადამიანს გაათავისუფლებს სიღატაკისგან.⁶

ვახტანგ ორბელიანის პოეზიასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია ყურადღება არა გავამახვილოთ შესანიშნავი მეცნიერის, თურქოლოგისა და ქართველოლოგის, პროფესორ გიორგი შაყულაშვილის ერთ პატარა სტატიაზე „ერთხელ კიდეც ვახტანგ ორბელიანის სოციალ - პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ,“ დაბეჭდილი ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეულში (N.3, 2011). როგორც ცნობილია, 1880 წელს ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რომლის ავტორი ოპტიმისტურად უყურებს ქვეყნის მომავალს და მის ოპტიმიზმს საფუძვლად უდევს ახალი თაობისადმი რწმენა. ვახტანგ ორბელიანი 1883 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ლექსში „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ არ იზიარებდა ილიას ოპტიმიზმს. მას არ სწამდა ახალი თაობისა. ის ფიქრობდა, რომ ახალ ეპოქაში მოხდებოდა ბევრი სასიკეთო ძვრა, ამაღლდებოდა შრომის კულტურა, გაძლიერდებოდა ეროვნული ერთიანობის შეგნება, მოსახლეობა დაეწაფებოდა განათლებას, როგორც მამულის ხსნის ერთ-ერთ პირობას და ქვეყანა ბოლოს და ბოლოს აღორძინდებოდა (გავიხსენოთ გრ. ორბელიანის წერილი ძმისწულისადმი - მ.ქ.). სამწუხაროდ ასე არ მოხდა. მისი აზრით: „*ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმაცობა, / სწავლის წილ - სმა და ძილი, ძმობის წილ დავა - მტრობა.*“ ამიტომაც აცხადებს: „ტკბილი ლექსებისთვის ჩემს გულს აღარ სცალია.“

³ ორბელიანი გრიგოლ, პოეზია, პროზა, წერილები, ტ.1, თბილისი, 2013, გვ. 313.

⁴ იქვე, გვ. 249-250.

⁵ ევგენიძე, გვ. 216.

⁶ შავგულიძე ლ., მამია გურიელის ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბილისი, 1984, გვ. 36.

ლექსში გამოკვეთილია უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება ჩარჩ-ვაჭრების მიმართ და თავის ქვეყანას ასე ალაპარაკებს: „*ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან, / სხვა და სხვა ურიანი ჩემს პატრონად დგებიან.*“ ფაქტია, რომ გამოთქმაში „სხვა და სხვა ურიანი“ პოეტი გულისხმობს სხვადასხვა ეროვნების ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც ნაჭერ-ნაჭერ ყიდულობენ დეგრადირებული მაღალი წოდებისგან საქართველოს (სხვათა შორის, ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის რიგ ლექსებში ვხვდებით სიტყვებს „წურბელა მედუქნეები“, „ვალი და ვახში“, „ვაჭარი“, „ჩარჩ-ვაჭარი“ და ა. შ. - მ.ქ.). ვ.ორბელიანის ლექსში გამოკვეთილად ჩანს, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, თორემ საქართველო უცხო ტომის, უცხო ეროვნებათა საკუთრებად იქცევა. იგი წუხს მოახლოებული ეროვნული ტრაგედიის გამო. გიორგი შაყულაშვილი დაასკვნის: „ვახტანგ ორბელიანი წუხს არა კლასობრივი საფრთხის, არამედ მოახლოებული ეროვნული ტრაგედიის გამო... მართალია, ჩვენი პოეტი მაღალი ფეოდალური ფენის წარმომადგენელი იყო, მაგრამ მოახერხა გაეზიარებინა ჩვენი „თერგდალეულების“ პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურის შესახებ არსებული მსოფლმხედველობა...“⁷ XX ს-ის საბჭოთა მკვლევრები ჩვენს პოეტს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მის დასახელებულ ლექსს თითქოს საფუძვლად ედო საქმისადმი კლასობრივი მიდგომა, რომ მისი წუხილის მიზეზი იყო თავად-აზნაურთა მდგომარეობის გაუარესება, რასაც, გ. შაყულაშვილის მსგავსად, არც ჩვენ ვეთანხმებით. ვინც გულისყურით წაიკითხავს გ. შაყულაშვილის ამ სტატიას, დარწმუნდება მეცნიერის მიერ ჩატარებული ანალიზის და მისგან მიღებული დასკვნების უტყუარობაში.

ჩვენი მხრივ, ვახტანგ ორბელიანის პოეზიის შესახებ ვიტყვით, რომ XIX ს.-ის II ნახევარში დაწერილ ლექსებში საკმაოდ აირეკლება ჩვენი თერგდალეულების გავლენები. გავიხსენოთ მისი ორი დიდი მოცულობის ლექსი „დედოფალი“ (1882 წ.) და „ქალი ის არის“ (1883 წ.), სადაც გატარებულია ის აზრი, რომ მეფე იქნება ის თუ დედოფალი, მათ უპირველეს მოვალეობას შეადგენს სამშობლოს სიყვარული, ზრუნვა ქვეყანაზე და ხალხზე, მნიშვნელობა არ აქვს მდიდარია ის თუ ღარიბი, შემწყალე და შემბრალებელი უნდა იყოს ქვრივთა, ობოლთა, ღარიბ-ღატაკთა, კეთილ საქმეს უნდა აკეთებდეს, ობოლს გულში იკრავდეს და უშურველად ეხმარებოდეს, უფსკრულში ჩავარდნილს დაუფიქრებლად ხელს უწვდიდეს და ამოჰყავდეს, ყველას კეთილი საქმისთვის განაწყობდეს.

ვახტანგ ორბელიანზე საუბარს დავამთავრებდით ნაწყვეტის მოხმობით მისი ლექსიდან „პოეტს“, სადაც ნათლად ჩანს მისი აზრი როგორც პოეტის დანიშნულების შესახებ, ისე სოციალურ თემატიკაზე: „...*შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია, / იმათ ბაღში და იმათ ვენახშია; / დაგვანახვე რით სწუხს, რით ხარობს გლეხი; / ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი./და ჩვენც მაღლა გვამხილე, რაც გვჭირს ავი, /სიზარმაცე და უმეცრება შავი!*“.

და ბოლოს, ნიკოლოზ ბარათაშვილი. ყველასგან გამორჩეული, ყველაზე მაღლა მდგომი, ქართული პოეზიის მშვენიერ საქართველოში გამეფებულმა პოლიტიკურმა, ეროვნულმა, სოციალურმა და კულტურულმა ვითარებამ თავისი დამთრგუნველი გავლენა ყველაზე მეტად მასზე იქონია, თავისი აუხდენელი ოცნებების მსხვერპლი გახდა, ვერა და ვერ მოაყვანინა სისრულეში თავისი ჩანაფიქრები და მიზნები. ჩვენს ქვეყანაში არსებული ეს მძიმე მდგომარეობა, რასაც მის შემოქმედებაში სიმბოლურად „შავი ყორანი“ განასახიერებს, შეიქმნა მიზეზი პოეტის სულიერი „ობლობისა“. შეურიგებელი დაპირისპირება და ბრძოლა „შავ ყორანსა“ და „სულით ობოლს“ შორის თითქოს პოეტის დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო, დამორჩილებოდა „შავი ყორანის“ ძალადობასა და სურვილებს, ცხოვრების დინებას მინებებოდა და მისი კარნახით ემოქმედა, მაგრამ, განსხვავებით სხვა თავისი თანამედროვეებისგან, ეს „სულით ობოლი“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს „შავ ყორანს“, არა მარტო თვითონ, არამედ ყველა მის გარშემო მყოფთ მოუწოდებს არ დამორჩილდნენ ბედისწერას, იბრძოლონ მის დასამარცხებლად და გარდასაქმნელად, რადგანაც „*არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, / იყოს სოფელში და სოფლისთვის არ იზრუნოს.*“ („ფიქრი მტკვრის პირას“). და ეს დაუმორჩილებელი, შეუდრეკელი სული თამამად აცხადებს: „*განვედი შენგან, ჰეი, მაცდურო, სულო ბოროტო!*“. ნიკოლოზ ბარათაშვილი მზადაა ყველაფერი შესწიროს ამ უთანასწორო

⁷შაყულაშვილი გ., ერთხელ კიდევ ..., წელიწდეული, III, ქუთაისი, 2011, გვ. 261.

ბრძოლას, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის საზღვარი, თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მერანი! / დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი! / ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!“ პოეტს სწამს, რომ მისი ბრძოლა უკვალოდ არ ჩაივლის, შეიძლება თვითონ შეეწიროს ამ უთანასწორო ბრძოლას, მაგრამ იგი აუცილებლად სხვებს გაუადვილებს თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე სიარულს; „ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება, / და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება; / რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, / და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს! ჩვენს საუბარს ნ. ბარათაშვილზე აპ. მახარაძის სიტყვებით გავაგრძელებთ: „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას იგივე სოციალური საფუძველი განსაზღვრავს, რაც სხვა ქართველი რომანტიკოსების მხატვრულ მემკვიდრეობას. ამ საერთო საფუძველს ემყარება ჩვენი პოეტის სევდიანი ფიქრები და მისივე ზღვარდაუდებელი ძიება. მაგრამ დანარჩენი ქართველი რომანტიკოსებისაგან განსხვავებით „მერანის“ ავტორმა თავისი ეპოქის ვნებათა ღელვა საერთო საკაცობრიო სიმაღლეზე აიყვანა და საკუთარი სულის ობლობა მთელი პროგრესული კაცობრიობის გულთათქმას დაუკავშირა. ეს არის ჩვენი პოეტის სიდიადის ერთი დამახასიათებელი ნიშანი.“⁸

გადავიდეთ არაბულ რომანტიზმზე და არაბ რომანტიკოსებზე.

რომანტიზმისთვის, როგორც ცნობილია, ძირითადია შეუსაბამობა იდეალსა და სინამდვილეს შორის, აქტიური კრიტიკა და უარყოფა თანამედროვე საზოგადოებისა, ბრძოლა ჰუმანური იდეალების დამკვიდრებისთვის. ამან განსაზღვრა მათს შემოქმედებაში სოციალური მოვლენებისადმი ყურადღების გამახვილება. არაბულ რომანტიზმში კი სოციალური მოტივები ყველაზე უფრო ჭარბობს. მისი წინ წამოწევა, რომელიც იწყება არაბი განმანათლებლებიდან, ნაკარნახევი იყო არაბულ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით. არაბი რომანტიკოსები არა მარტო აყენებდნენ სოციალურ პრობლემებს, არამედ გვთავაზობდნენ სოციალურ უსამართლობათა მოგვარების საკუთარ გზებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაბი რომანტიკოსები, განსხვავებით ქართველი რომანტიკოსებისა, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო ფენისა.

არაბულ ქვეყნებში არსებული საზოგადოებრივი წყობით უკმაყოფილება, მისი კრიტიკა და ბრძოლა მის გარდასაქმნელად ყველაზე ძლიერ აისახა ჯერ ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შემოქმედებაში, შემდეგ აბუ ლ-კასიმ აშ-შაბის და აბუ მადის პოეზიაში, არაბული სამყაროსთვის მეტად აქტუალური ქალთა ემანსიპაციის საკითხი - ჯიბრანთან და მუსტაფა ლუტფი ალ-მანფალუტისთან.

ლიბანელმა ქრისტიანმა მწერალმა, პოეტმა და მხატვარმა ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა (1883 – 1931) თავის ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში დიდი ადგილი დაუთმო ლიბანში სხვადასხვა ფენას შორის არსებული დაპირისპირების აღწერას. ის შეეცადა გამოეაშკარავებინა საზოგადოების მანკიერი მხარეები, დაუნდობლად გააკრიტიკა ის საზოგადოება, სადაც „ღარიბები თესვენ, მდიდრები კი იმკიან...“, „ჭეშმარიტი თავისუფლება მარტოდმარტო დაეხეტება ქუჩა-ქუჩა და ამაოდ შესთხოვს ხალხს თავშესაფარს“, „რელიგია დამარხულია წიგნების ფურცლებზე, მისი ადგილი კი ცრურწმენას უკავია“, (ლექსი პროზად „მოჩვენება“.⁹ ჯიბრანის აზრით, ამ ქვეყნად არ სუფევს სამართლიანობა. ადამიანთა მიერ მოგონილი კანონები ვერ უზრუნველყოფს ადამიანთა თავისუფლებას. იგი თანაბრად არ ვრცელდება ყველაზე. ცხოვრება წარმოადგენს ძლიერისა და სუსტის ბრძოლას. ძლიერი მუდამ იმარჯვებს. თავისუფლება ფეხქვეშ არის გათელილი. ცოდნა არ არის პატივში. განათლებული კაცი უცხოა საზოგადოებისთვის. ის უარყოფილი და მიტოვებულია.

მუქ ფერებში გვიხატავს საზოგადოებას თუნისელი აბუ ლ-კასიმ აშ-შაბი (1909 – 1934). მისი შეხედულებით, ამ საზოგადოებაში არ ფასობს ღირსება, სათნოება და პატივისცემა. ის ხედავს აქ მხოლოდ „ბოროტ და არამზადა ქმნილებებს“, „ლამაზ გოგონას, რომელიც თუ პატიოსანი, სათნო

⁸მახარაძე აპ., ქართული რომანტიზმი, თბილისი, 1990, გვ. 294.

⁹335 جبران – المجموعة الكاملة لمؤلفاته بيروت

და საკუთარი ღირსებების დამფასებელი აღმოჩნდა, საზოგადოება მას კიცხვის საგნად აქცევს, და თუ გახრწნილი, მაშინ პატივს და თაყვანს მიაგებს.“ ეს საზოგადოება ისე არის მოწყობილი, რომ ღარიბს აიძულებს გახდეს ბოროტმოქმედი არსებობისთვის ბრძოლაში. ამ საზოგადოებას ძალა არ შესწევს ადამიანის დამსახურება შეაფასოს, არ ძალუძს სიკეთეს სიკეთითვე უპასუხოს. როცა მას მოციქული მოევლინა და ჭეშმარიტება უქადაგა, ბოროტ სულად ჩათვალა იგი, შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა (ლექსი „შაიტანის შვილები“)¹⁰.

ლიბანელი ქრისტიანი აბუ მადი (1889-1957) ხედავს, რომ საზოგადოება ორ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილად არის გაყოფილი - მდიდრებად და ღარიბებად. ერთ მხარეზეა სიმდიდრე და ფუფუნება, მეორეზე - უქონლობა და სიღატაკე. მდიდრებს არ ალელვებთ ღარიბთა ბედი. ღარიბებს ძალა არ შესწევთ იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის. მათთვის გამოსავალი არის მხოლოდ არსებულ მდგომარეობასთან შერიგება და ოცნება ლუკმაპურსა და უკეთეს მომავალზე (ლექსები „ჭამეთ და სვით“ და „ღარიბი“).

სხვა არაბ რომანტიკოსებთან შედარებით ჯიბრანი ყველაზე უკეთ გაერკვა სოციალური წყობის ბუნებაში, დაინახა, რომ საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი და მისი მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობაა. ჯიბრანმა ისიც დაინახა, რომ გაბატონებულ არისტოკრატias გვერდით უდგას სასულიერო წოდება. აშ-შაბის თქმით კი რელიგიის მსახურებმა, რომელთა მოვალეობას შეადგენს ადამიანთა სულის დაცვა, სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვა, დაივიწყეს თავიანთი უპირველესი მოვალეობა და პროფესიად აქციეს თაღლითობა: „რამდენჯერ მოუტყუებია ხალხი იმამს და მღვდელს“ (ლექსი „ცრემლები“).¹¹

არაბმა რომანტიკოსებმა სოციალური უსამართლობის კრიტიკისას მკაცრად გაილაშქრეს მმართველი აპარატის ტირანიის, საერთოდ, დესპოტიზმის წინააღმდეგ. პირველი არაბ რომანტიკოსებს შორის, ვინც დაგმო დესპოტიზმი, იყო ლიბანელი ქრისტიანი ხალილ მუტრანი (1872-1949). ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში ლიბანში თურქ-ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლის გამო იძულებული გახდა საცხოვრებლად ეგვიპტეში გადასულიყო. უსამართლობის თავიდან აცილების მიზნით მან რომანტიკოსების ნაცად ხერხს მიმართა, მოქმედება შორეულ წარსულში გადაიტანა. მუტრანმა ისტორიული ხანა გამოიყენა ტირანიისა და დესპოტიზმის კრიტიკისთვის, რითაც მოხერხებულად აიცილა ხელისუფალთა რისხვა. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება დიდი მოცულობის ლექსები, არსებითად, პოემები: „ნერონო“, „ბაზრჯამჰრის მკვლელობა“, „ფინჯანი ყავა“. აშ-შაბი ლექსებში „თქვეს დღეებმა“ და „ტირანს“ გამოთქვამს რწმენას, რომ ტირანის ბატონობას აქვს საზღვარი და მას ხალხი მოუღებს ბოლოს.

არაბი რომანტიკოსები გამოირჩევიან თანამედროვე საზოგადოების დაუნდობელი კრიტიკით. მათი უარყოფითი დამოკიდებულება იმდენად ძლიერია, ხშირად ვერ ახერხებენ საზოგადოებაში რაიმე დადებითის დანახვას. აშ-შაბი ლექსში „უცნობი მოციქული“ საზოგადოების წევრებს თვლის ციებ-ცხელებით დაავადებულებად, უწოდებს მათ „უგუნურ სულებს“, რომლებსაც სძულთ სინათლე და სიცოცხლეს ატარებენ სიბნელებში.

ჯიბრანი ფრ. ნიცმეს გავლენით დაწერილ ნაწარმოებებში საზოგადოების დიდ ნაწილს უწოდებს „ჭაობის ქვეწარმავლებს“, „მაიმუნის შვილიშვილებს“, „ღორებს“ და ა.შ., ზოგჯერ ეჩვენება, რომ ყველგან ბატონობს მონობა. აბუ მადიმ კი ადამიანებს უწოდა „ყბედი ღმერთი“. ამიტომ არის, რომ ჯიბრანს და აშ-შაბის იპყრობთ სურვილი გაწმინდონ საზოგადოება ცხოვრებისთვის „ზედმეტ ადამიანებად“ ქვეულებისგან. ისინი მოუხმობენ „ქარიშხალს“ და „ნიაღვარს“, რომ დაანგრის ცოცხალ-მკვდართა საცხოვრებელი სახლები, თვით ისინი წალეკოს (ჯიბრანთან), „შემის მჭრელს“ და მის „ნაჯახს“, რომ ხეებს (საზოგადოებას) ჩამოსხიპოს გამხმარი ტოტები (ზედმეტი ადამიანები, ცოცხალი მკვდრები) (აშ-შაბისთან). მიუხედავად მათდამი ზიზღისა, ჰუმანიზმი აიძულებთ დაეხმარონ მათ, ვიდრე უკიდურეს ზომებს გამოიყენებდნენ, მათაც ჩაუნერგონ ის განწყობილება, ის მეამბოხე სული, რომლითაც თვითონ არიან შეპყრობილნი და რომლითაც შეიძლება საზოგადოების გარდაქმნა. მაგრამ მალე რწმუნდებიან, რომ ეს მცდელობა ამაოა.

الشابى - اغنى الحناء تونس ص 181¹⁰

იქვე, გვ. 73.¹¹

არაბი რომანტიკოსების აზრთ, სოციალური უთანასწორობა შობს მანკიერებას და ბოროტებას. მათთან საკმაო ადგილს იკავებს რომანტიკოსებისთვის პოპულარული მხატვრული სახე - ბოროტმოქმედის (დამნაშავის) სახე. მისი დახატვა სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების კიდევ ერთი ფორმაა. მისი მეშვეობით კიდევ უფრო მახვილდება საზოგადოებაში გაბატონებული ურთიერთობების, კანონების კრიტიკა. მათი შეხედულებით, საზოგადოების მაღალი ფენების სამსახურში ჩამდგარი კანონები უარყოფითად მოქმედებს პიროვნებაზე, თავისუფლებას ართმევს მას, ხაზს უსვამს მის უფულობას. ლიბანელი აბუ შაბაქა ადამიანების მიერ მოგონილ კანონებს უწოდებს „ჯუნგლების კანონს“. იმისთვის, რომ დაგვიხატონ წინააღმდეგობა საზოგადოებასა და პიროვნებას, კანონსა და პიროვნებას შორის, ისინი ქმნიან დამნაშავეთა ორ ტიპს: **დამნაშავე - მსხვერპლს** და **დამნაშავე - ბოროტმოქმედს**. არაბი რომანტიკოსების გაგებით, ადამიანი დამნაშავედ არ იბადება, ასეთად საზოგადოებასთან ურთიერთობისას ყალიბდება. საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება პიროვნებისადმი და თვით პიროვნების მიმდევრობითი ყოფით პირობები უზიდავს უბრალო ადამიანს გახდეს დამნაშავე. აბუშაბაქა ლექსში „გიტარა“ (ლირა) იტყვის: „*ბრმა კანონების გამო რამდენი უდანაშაულო ადამიანი გამხდარა ბოროტმოქმედი / და რამდენი დამნაშავე თესავს ბოროტებას, ეს კანონები კი უდანაშაულოდ თვლის მათ*“¹². აშ-შაბიმ ლექსში „შაიტანის შვილები“ დაგვიხატა უბრალო ადამიანის სახე, რომელიც სიღარიბემ აიძულა ბოროტების გზას დასდგომოდა, გამხდარიყო ყაჩაღი და ამ გზით ერჩინა თავი.

ეგვიპტელმა მუსტაფა ლუტფი ალ-მანფალუტიმ (1876-1924) ნოველაში „დასჯა“ სავსებით გაიზიარა ბოროტმოქმედად ჩამოყალიბების დასახელებული მიზეზი. მოხუცი, რომელიც მმართველის ბრძანებით ჩამოახრჩვეს, დანაშაულის გზაზე დააყენა სილატაკემ. მან მოწყალებისთვის მიმართა მონასტერს, მაგრამ უარი მიიღო. იძულებული გახდა მონასტრის ბელლიდან მოეპარა ტომარა ფქვილი. ასე იქცა ქურდად, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ჭაბუკმა საკუთარი ღირსების შელახვის გამო მოკლა გადასახადის ამკრეფი, რისთვისაც სიკვდილი მიესაჯა. ჭაბუკის დის პირით მწერალი იტყვის: „ჩემი ძმის მიმართ რომ ყოფილიყვნენ სამართლიანი და გამოეჩინათ შემწყნარებლობა, ის არ ჩაიდენდა დანაშაულს და არ მოხდებოდა მკვლელობა.“¹³ მსგავსი შინაარსისაა ჯიბრანის მოთხრობა „საფლავთა ძახილი“.

არაბ რომანტიკოსებს (ჯიბრანი, აშ-შაბი, ალ-მანფალუტი) ესმით დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, ამიტომ მათთვის ასეთი „დამნაშავე“, განსხვავებით საზოგადოებისგან, რომელმაც იგი მოიკვეთა, კანონებისგან, რომელმაც იგი დევის საგნად აქცია, არ არის მოსაკვეთი და დევნის საგანი. პირიქით, დასავლეთის რომანტიკოსების მსგავსად, ისინი სიმკპათიით არიან განმსჭვალული ასეთი დამნაშავის მიმართ და გამოხატავენ თანაგრძნობას. მათი აზრით, ის არ არის დამნაშავე, არამედ არის საზოგადოებაში მოქმედი კანონების მსხვერპლი. არსებითად, მათ გაამართლეს მისი იძულებითი საქციელი, თუმცა მათთვის ჭეშმარიტებაა, რომ თავისთავად დანაშაული, ადამიანის მიერ ადამიანზე ხელის აღმართვა დიდი ცოდვაა და დასაგმობია. ჯიბრანმა და აშ-შაბიმ ბოროტმოქმედი-მსხვერპლის, საერთოდ ბოროტმოქმედის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი პასუხისმგებლობა დააკისრეს საზოგადოებას და მასში მოქმედ კანონებს. ჯიბრანი „იესო - ძე კაცისაში“ იტყვის: „ჭეშმარიტად, მამაკაცის ან ქალის მიერ ჩადენილ ყოველ დანაშაულში მონაწილეობს ყველა ...“¹⁴ ალ-მანფალუტიმ სტატიაში „გაგაფუჭა შენ შენმა ხალხმა“ ეს სფერო კიდევ უფრო გააფართოვა და დააკონკრეტა. მან ყოველ ჩადენილ დანაშაულში დამნაშავის თანამონაწილედ გამოაცხადა დამნაშავის ოჯახი (მამა), საზოგადოება და ხელისუფლება¹⁵.

რაც შეეხება დამნაშავის მეორე ტიპს - დამნაშავე-ბოროტმოქმედს, რომლის მიმართ რომანტიკოსებს გამოკვეთილად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, უნდა მივაკუთვნოთ ჯიბრანის მოთხრობებსა და ალ-მანფალუტის ნოველაში ხელისუფლების წარმომადგენლები,

¹²العبد بمنى - الدلالة الاجتماعية ... بيروت ص 30

¹³Арабская романтическая проза XIX-XX веков, Ленинград, 1981, стр. 63.

¹⁴مسعود حبيب - جبران حنا و منى بيروت ص 410

¹⁵منفلوطى - النظرات ج 1 ص 111

მდიდარი ფეოდალები, მოსამართლეები და მღვდლები, რომლებიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლიათ უბრალო ადამიანები სიკვდილით დასაჯონ თუ ისინი მათ ინტერესებს დაუპირისპირდებიან. ჩვენი მწერლების თვალსაზრისით, ისინი თავად არიან ბოროტმოქმედნი, ამიტომ უფლება არ აქვთ განაგონ სხვისი ბედი. (იხილეთ ჯიბრანის „გიჟი იუჰანა“, „ურწმუნო ხალილი“, „საფლავთა ძახილი“, ალ-მანფალუტის „დასჯა“ და სხვ.)

საზოგადოება და მისი კანონები წარმოადგენენ ძირითად წყაროს ადამიანთა მანკიერებებისა. ის უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ წყობაში: „როგორც ფოთოლს არ ძალუძს ფერი იცვალოს ხის ნების გარეშე, ისე თქვენს შორის ბოროტმოქმედს არ შეუძლია ჩაიდინოს ბოროტება თქვენი ფარული სურვილისა და თანხმობის გარეშე.“¹⁶ 1926 წელს გამოცემულ წიგნში „ქვიშა და ქაფი“ ჯიბრანი თანაბრად ანაწილებს ბოროტებაზე პასუხისმგებლობას სუბიექტსა და გარე სამყაროზე: „ჭეშმარიტად, ერთი ნაწილი სჩადის ბოროტებას, მიყვება რა ჩვენი მამებისა და ბიძების ნაბიჯებს, მეორე კი სჩადის მას იმისთვის, რომ მოიპოვოს ძალაუფლება ჩვენს ბავშვებზე.“¹⁷ ჯიბრანის თვალსაზრისით, ბოროტებასთან ბრძოლის დაწყებამდე უნდა დავადგინოთ მისი გამომწვევი მიზეზები: „...ვიდრე მოვჭრიდეთ ბოროტების ხეს სამართლიანობის სახელით, უნდა დავადგინოთ მისი ფესვების სიღრმე. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ ბოროტების ხის, სიკეთის ხის და უნაყოფო ხის ფესვები ერთმანეთშია გადახლართული.“¹⁸ ჯიბრანს სჯერა, რომ ამ ქვეყანაზე საბოლოოდ სიკეთე გაიმარჯვებს, მაგრამ საამისოდ დიდი დროა საჭირო. ხანდახან მწერალი მერყეობს, ხანდახან არსებულ მდგომარეობას ურიგდება, ურიგდება ბოროტებას, უაზრობად თვლის მასთან ბრძოლას. ბოროტებასთან ბრძოლა არ სპობს მას, არამედ შობს ახალ ბოროტებას: „თქვეს: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ. მე კი ვამბობ: ნუ ებრძვი ბოროტებას. წინააღმდეგობის გაწევა ასაზრდოებს მას, ძალას მატებს. მის გამო შურს იძიებს მხოლოდ სუსტი, სულით ძლიერი კი მიუტევებს“¹⁹. მაგრამ ასეთი შემრიგებლური პოზიცია მისთვის მოკლე პერიოდებისთვის იყო დამახასიათებელი. მთელი მისი შემოქმედების გათვალისწინებით კი ნათელია, რომ აუცილებელია ბრძოლა ბოროტებასთან ამქვეყნად საყოველთაო სიკეთის დასამყარებლად.

ჯიბრანმა დაინახა ლიბანში არსებული წყობის რეფორმაციის აუცილებლობა. რეფორმის ერთ-ერთ გზად, განმანათლებლების მსგავსად, მიაჩნდა ხალხში განათლების შეტანა, უვიცობის ლიკვიდაცია. მისი რწმენით, როცა „მმართველი იქნება თითოეული მამაკაცის გონება, ხოლო ქურუმი - თითოეული ქალის გული“, მაშინ მოისპობა სოციალური უსამართლობა. მაგრამ ადრეულ წლებში მას არ აკმაყოფილებდა ეს მშვიდობიანი გზა, რადგან გაბატონებული კლასები ნებით არასდროს არ დათმობენ სიმდიდრეს და არ აღიარებენ ღირებულებას თანასწორობას. ამიტომ თვლიდა საჭიროდ ძალის გამოყენებას. ასეთ აზრს, აზრს გლეხური ამბოხისას, გამოთქვამს ის მოთხრობაში „ურწმუნო ხალილი“. მას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ თავისუფლება მოიპოვება ბრძოლით და არა ოცნებით: „მეუბნებიან: თუ დაინახავ მძინარე მონას, ნუ გააღვიძებ, რადგან მას თავისუფლება ესიზმრება. მე კი ვუპასუხებ: თუ მძინარე მონას დავინახავ, გავაღვიძებ და ვუამბობ თავისუფლების შესახებ.“ („სანაპიროს ერთი პეშვი ქვიშა“).²⁰ მწერალი დარწმუნებულია, რომ ადამიანის თავისუფლებისკენ მისწრაფების შეზღუდვა მოგონილი კანონებით შეუძლებელია, რადგან „...ჭეშმარიტად შეიძლება ჩაახშო დოლის ხმა, შეიძლება მოუშვა ლირას სიმები, მაგრამ კაცთა მოდგმიდან ვის შეუძლია აუკრძალოს ტოროლას გალობა...“²¹.

თუ ჯიბრანმა მომავლის სამეფო - იდეალის მოპოვების გზა ასე თუ ისე იცის (ერთი - შინაგანი სამყაროს სრულყოფა და მეორე - ძალის გამოყენებით არსებული საზოგადოებრივი წყობის დამხობა), ალ-მანფალუტისთვის ბუნდოვანია სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელი

¹⁶ جبران - النبي ص 52-53

¹⁷ جبران - رمل و نبد ص 33-34

¹⁸ جبران - النبي ص 54

¹⁹ مسعود - جبران ... ص 409

²⁰ Джебран, Сломанные крылья, стр. 169.

²¹ جبران - النبي ص 57

გზა. ის მხოლოდ გვაძლევს გამზადებულ ასეთ სამყაროს „ბედნიერების ქალაქის“ სახით, სადაც არ არიან მდიდრები და ღარიბები; არ არიან არც ბატონები და არც მონები; ქალები უფლებებით მამაკაცებთან თანასწორნი არიან; ყველა შრომობს და თანაბრად იმკიან თავიანთი შრომის ნაყოფს; ...ეს არის ქალაქი, სადაც არ არის არც ეკლესია-მონასტრები, მეჩეთები და არც რელიგიის მსახურნი. ისინი ეთაყვანებიან ღმერთს არა შიშით, არამედ მაღლიერების გრძნობით, რადგან ღმერთის ანარეკლს ხედავენ თავიანთ თავში... ეს არის ქალაქი, სადაც მეფობს საყოველთაო შრომა, ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა, მეგობრობა და ჭეშმარიტი სიყვარული (ესეი „ბედნიერების ქალაქი“).

ამ-შაბის პოეზიაში გამოკვეთილია სოციალურ უსამართლობათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. ბრძოლაში ხედავს ის თავისუფლების მოპოვების უმთავრეს გზას. ამიტომ მოუწოდებს მშრომელებს ბრძოლისკენ და გამარჯვებაშიც დარწმუნებულია: „...არა, მონები აღარ ვიქნებით! / ბედნიერებას ჩვენვე ვიპოვით! / მზე ჩვენთვისაც ამოზრჩეიანდება. / სიცოცხლეს უშიშრად გავწირავთ, / რათა გავანადგუროთ ჩაგვრა!“ (ლექსი „მშრომელები“)²². თუმცა ხანდახან იხრება ადამიანის სულიერი მხარეების სრულყოფისკენ.

არაბ რომანტიკოსებში სინამდვილის კრიტიკა მორალური პრინციპებიდან ყველაზე უფრო დამახასიათებელია აბუ მაღისთვის. მას საზოგადოებაში დაპირისპირებულობის მოსპობა ბრძოლის გზით კი არ სურს, არამედ ზნეობრივი პრინციპების დახმარებით. ლექსში „ჭამეთ და სვით“ ჩაგრულებს მოუწოდებს მორჩილებისკენ, შექმნილ მდგომარეობასთან შერიგებისკენ, მდიდრებს კი ღარიბთა მიმართ მოწყალების გამოჩენისკენ. ამავე დროს მან სოციალური უთანასწორობის მოგვარების გზა პოვა იმქვეყნიურ, საიქიო ცხოვრებაში, სადაც ყველანი თანასწორნი იქნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა - References:

1. აბაშიძე, კიტა. *ეტყუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ*. ტ. 1. ქუთაისი, 1911.
2. ორბელიანი, გრიგოლ. *პოეზია, პროზა, წერილები*. ტ. I, თბ., 2013.
3. ევგენიძე, ი. *გრიგოლ ორბელიანი*. თბ., 1995.
4. მახარაძე, ავ. *ქართული რომანტიზმი*. თბ., 1990.
5. შავგულიძე, ლ. *მამია გურიელის ლიტერატურული მემკვიდრეობა*. თბ., 1984.
6. შაყულაშვილი, გ. ერთხელ კიდევ ვახტანგ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ. *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი*, III. ქუთაისი, 2011.
7. *Арабская романтическая проза XIX – XX веков*. Л., 1981.
8. Джебран, Джебран Халиль. *Сломанные крылья*. М., 1962.
9. Аш-Шабби, Абу-л-Касим. сб. *Поэзия Африки*. М., 1973.
10. أبو ماضي, إيليا – الخمائل, بيروت
11. جبران, جبران خليل – المجموعة الكاملة لمؤلفاته, بيروت
12. جبران, جبران خليل – رمل و زبد, بيروت
13. جبران, جبران خليل – النبي, بيروت
14. الشابي, أبو القاسم – اغاني الحياة, تونس, 1946
15. العيد, يمني – الدلالة الاجتماعية لحركة الأدب الرومنطقي في لبنان, بيروت, 1979
16. مسعود, حبيب – جبران حيا و ميتا, بيروت, 1966
17. المنفلوطي, مصطفى لوطي – النظرات, ج 1, 2, 3

²²aШ-Шабби, Поэзия Африки, стр. 167.